სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ნოემბერი 2023 წ

ბრძანება N 01-02/218

ბსუ-ს ფაკულტეტებზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,რექტორის მივლინების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 ნოემბრის №01-14/629 ბრძანებისა და ბსუ-ს სასწავლო დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 21 ნოემბრის №1583172 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე – 3 სტუდენტი;
   ბ) ტურიზმის ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   გ) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   დ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე –4 სტუდენტი;
   ე) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 4 სტუდენტი;
   ვ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 4 სტუდენტი;
   ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 6 სტუდენტი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიანტთა ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, თუკი გამოვლინდება თანაბარი ქულების მქონე კანდიდატები.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო - ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ფაკულტეტებს დეკანებს ეთხოვოს არაუგვიანეს 2023 წლის 24 ნოემბრისა ბსუ-ს რექტორს წარუდგინონ წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ სტუდენტთა რაოდენობაზე (კვოტაზე) 2 (ორით) მეტი სტუდენტის მონაცემები ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის შესაბამისად.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბერიძე